პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 143 (3120)

26 1966 წ. ივლისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

VIII ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ

ENGLAND 1966 ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ VIII ᲘᲒᲠᲚᲘᲡᲘ

ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

სსრ კავშირი — გფრ

სსრ კავშირი — იაშინი, პონომარიოვი, შესტერნინოვი, ვორონინი, დანილოვი, საბო, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, მალოფეევი, პარკუიანი.

გფრ — ტილკოვსკი, ლუტცი, შულცი, ვებერი, შნელინგერი, პაცეე, ბეკენბაუერი, ჰალერი, ზეელერი, ჰელდი, ემერიხი.

მსაჯი — კ. ლოობელო (იტალია).

ეს იყო დრამატული მომენტებით აღსავსე შეუპოვარი ბრძოლა ფინალური მატჩის საგზურისთვის. დაიწყო თუ არა თამაში, გერმანელმა ფეხბურთელებმა ხანგრძლივი შტურმი განაგითარეს ჩვენ. გუნდის კარის მისადგომებთან და პირველივე წუთზე იაშინი იძულებული შეიქნა მთელი თავისი ოსტატობა გამოეღინა, როცა მოიგერია შნელინგერის უძლიერესი დარტყმა. საბჭოთა ფეხბურთელებმა 10 წუთის განმავლობაში ვერ ააწყეს თამაში, ბევრ შეცდომებს უშვებდნენ, რითაც უადვილებდნენ გერმანელებს ხშირი და სახიფათო იერიშები განეხორციელებინათ ჩვენს საჯარიმო მოედანზე.

შემდეგ მდგომარეობა ოდნავ გათანაბრდა, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო გფრ-ის ფეხბურთელთა უპირატესობა, 42-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა — ჰალერმა ძლიერად დაარტყა კარში, იაშინმა ოდნავ დაგვიანა და ბურთი ჩვენი ნაკრების კარის ბადეში გაეხვია.

მთელი მეორე ტაიმი საბჭოთა გუნდი 10 კაცის შემადგენლობით თამაშობდა, მსაჯმა უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევა ჩისლენკო. და უნდა ითქვას, საბჭოთა გუნდი თავგანწირვით თამაშობდა, ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ მალოფეევის, ბანიშევსკის დარტყმები უზუსტო იყო, სამაგიეროდ, გერმანელმა ბეკენბაუერმა 2-მდე გაზარდა ანგარიში. თამაშის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, რომ პარკუიანმა გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი, ხოლო მატჩის უკანასკნელ წუთზე რაღაც სასწაულმა გადაარჩინა გერმანელთა კარი. ბურთი სულ მცირე მანძილით აცდა მიზანს.

გაიმარჯვა გფრ-ის ნაკრებმა —2:1, რომელიც მომავალ შაბათს ფინალში შეხვდება დღევანდელ მატჩში გამარჯვებულ გუნდს. ჩვენი ფეხბურთელები 28 ივლისს ითამაშებენ მე-3-4 ადგილებისთვის.



ᲓᲦᲔᲡ! ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲣᲙᲐᲜᲙᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ...

◆ **სოჩგათხეი**, 25 ივლისი. უნგრელი მოჭადრაკის ლ. ასტალოშის მემორიალზე გაიმარჯვეს დ. ბრონშტეინმა და ვ. ულიანმა (გდრ) — 11,5-11,5 ქულა (15 შესაძლებლიდან). III ადგილზე გასული უნგრელი ი. ფლეში გამარჯვებულებს 2 ქულით ჩამორჩა.

◆ *კ ო ტ ი (იაპონია), 25 ივლისი. ამ ქალაქში გამოსვლებით დაიწყო სსრ კავშირის მოჭიდავეთა ტურნე. თავისუფალ ჭიდაობაში ანგარიშია 4:3, კლასიკურში — 6:1, სამბოში — 4:1 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ. შეთანხმების თანახმად, არც ერთ მხარეს არ გამოყავდა მძიმე წონის მოჭიდავე.*

◆ **ბ ე ზ ი ე**, 25 ივლისი. საფრანგეთის ამ ქალაქში მოწყობილ მოცურავეთა შეჯიბრებაში ე. ფერლიმ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გააუმჯობესა ქალთა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში. მისი დროა 1.07,4, რაც 0,3 წამით სჯობს ტოკიოს ოლიმპიადაზე ამერიკელ კ. ფერგიუსონის მიერ ნაჩვენებ შედეგს.

◆ **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ**, 25 ივლისი. საბჭოთა იუნიორმა ფრენბურთელებმა წარმატებით ჩაატარეს ევროპის I ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები. ბოლო შეხვედრა თავის ჯგუფში გოგონებმა მოუგეს იუგოსლავიის ნაკრებს — 3:0 (15:4, 16:14, 15:7) და ფინალში გავიდნენ, სადაც მათთან ერთად არიან ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. ჩვენმა ჭაბუკებმა დაამარცხეს იტალიელები — 3:0 (15:9, 15:5, 15:5) და მეოთხედფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

◆ **ლოს-ანჯელესი**, 25 ივლისი. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა ამერიკელმა გ. ბუკინჰემმა. მან აჩვენა 2.13,1. ცურვის ეს სახეობა პირველადაა შეტანილი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

◆ **ლ ო ს-ა ნ ჯ ე ლ ო ს ი**, 25 ივლისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 2 მსოფლიო რეკორდის ავტორები გახდნენ ამერიკელი სპორტსმენები: ჯ. პენელმა ჭოკით ხტომაში აჩვენა 534 სმ, რაც მისი თანამემამულის ბ. სიგრენის წინანდელ რეკორდს 2 სმ-ით ჯობს, ხოლო ესტაფეტაში 4×400 მ გუნდის შედეგია 2.59,6. ეს შედეგი წინანდელ მსოფლიო რეკორდზე 1,1 წამით უმჯობესია.



ამიერკავკასიის მოსწავლეთა მეგობრულ თამაშებში წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის აღსაზრდელები. საქართველოს ნორჩი სპორტსმენები ჩემპიონები გახდნენ სპორტულ ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ნიჩბოსნობაში, ჩოგბურთსა და სხვა სახეობებში.

ბაქოში გამართულ ასპარეზობაში ჩვენი მაგდის ჩოგბურთელები II ადგილზე გამოვიდნენ. თავი ისახელა თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა ლ. კამენსკაიამ (მწვრთნელი ი. ქანდარიანი), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაზე და ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. კამენსკაია. ფოტო ი. იუნაევისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ—I ᲐᲓᲒᲘᲚᲒᲔ

ქ. სუმში გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. საქართველოს „სპარტაკის“ მოჭიდავეთა კოლექტივმა (მწვრთნელები შ. ნოზაძე და მ. ოსიყმაშვილი) დიდი აღმავლობით ჩაატარა ყველა შეხვედრა და მოიპოვა გუნდური I ადგილი. პირად პირველობაშიც ისახელეს თავი ქართველმა სპორტსმენებმა. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ო. ქელეხსაშვილი, გ. ქურჭიშვილი, რ. მარსაგიშვილი, ა. ქელდიშვილი, ა. გაბუნია, კ. მირველაშვილი. II ადგილები დაისაკუთრეს ვ. ზუკაკიშვილმა და ი. გეგელიშვილმა, III — თ. ენუქიძემ და თ. ცნობილაძემ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ლენინგრადში მოეწყო სარბოლო ავტომანქანებით საკავშირო პირველობის I ტური. გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა შ. მამრიკაშვილმა და ვ. გლურჯიძემ („სპარტაკი“).

Ზ. ᲛᲐᲩᲮᲐᲜᲔᲚᲘ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

მოსკოვში გამართულ პროფკავშირების შესტენდურეთა საკავშირო პირველობაზე სატრანშეო სროლაში ჩემპიონის სახელი და ოქროს მედალი მოიპოვა ცნობილმა ქართველმა სპორტსმენმა ზ. მაჩხანელმა („სპარტაკი“).

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. მაჩხანელი შეჯიბრებისას.



ᲖᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲒᲖᲐᲕᲘᲗ

ტ ა რ ტ უ, 25 ივლისი. სსრ კავშირის უძლიერეს [illegible] პირად-გუნდურ ჩემპიონატში დიდ წარმატებას [illegible] „სპარტაკის“ წარმომადგენელმა ნ. ტროფიმოვამ. მას შემდეგ, რაც 15 კმ რბოლაში ტროფიმოვამ III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა, სპეციალისტებმა მას წარმატება უწინასწარმეტყველეს რკალურ რბოლაში. ორიოლელმა სპორტსმენმა მწვრთნელთა მოლოდინი გაამართლა და დისტანცია პირველმა დაამთავრა. ნ. ტროფიმოვას გადაეცა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი საგზატკეცილო ველოსპორტის ამ ურთულეს სახეობაში.

ამავე სახეობაში იუნიორთა შორის უძლიერესი იყო ნალჩიკელი სპორტსმენი ა. ტოკმაკოვი.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა რბოლა ტარტუს ქუჩებში. 129-კილომეტრიან დისტანციაზე ძირითადი ბრძოლა სახელმოხვეჭილ ველოსიპედისტებს მინსკელ ა. დოხლიაკოვსა და გორკელ ა. კულიბინს შორის გაჩაღდა. ფინიშთან პირველი ა. დოხლიაკოვი მიიჭრა, რომელსაც გადაეცა კიდეც ჩემპიონის ოქროს მედალი.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

გუშინ მინსკში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ორი მეგობრული ქვეყნის — პოლონეთისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ამხანაგური მატჩი. შეჯიბრება, რომელიც ჩვენი და პოლონელი სპორტსმენების ფინასაოლიმპიადო სამზადისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, ოლიმპიური პროგრამით ტარდება.

პოლონეთის მძლეოსნებს მაოფლიოში მოწინავე პოზიცია უჭირავთ. აქაური სპორტსმენების კირშენშტეინის, შმიდტის, ხიდლოსა და სხვათა სახელები საერთაშორისო მძლეოსნურ სარბიელზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სწორედ ამიტომ, მატჩისადმი ინტერესი უაღრესად დიდია. მინსკში ფაქტიურად ერთმანეთს ხვდება ევროპული მძლეოსნობის ავანგარდი.

სსრ კავშირისა და პოლონეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების წლევანდელი მატჩი რიგით პირველია, მაგრამ ეს იმას რადი ნიშნავს, რომ ამ ორი ქვეყნის მძლეოსნები ადრე არ შეხვედრიან ერთმანეთს. აქამდე ტრადიციად იყო დამკვიდრებული პოლონეთისა და რსფსრ-ს სპორტსმენთა ამხანაგური შეხვედრა.

34 ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ვისბადენში დამთავრდა მაოლიმპიოს 39-ე ჩემპიონატი სროლაში. იგი საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით აღინიშნა. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, ასეთი მაღალი მაჩვენებლისთვის მსოფლიო პირველობაში არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია. ვისბადენის ტურნირში საბჭოთა მსროლელებმა ოქროს 10, ვერცხლის 14 და ბრინჯაოს 10 მედალი მოიპოვეს.

„საბჭოთა მსროლელების ერთადერთი სუსტი ადგილი, — აღნიშნავს დასავლეთგერმანული მიმომხილველი ვ. ჰოფი, — სატრანშეო სროლაა. რუსები ამ სახეობაში წლების მანძილზე აუმჯობესებენ შედეგს, მაგრამ ჯერჯერობით, უმაღლეს საფეხურზე ასვლა ვერ მოახერხეს. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, საბჭოთა სპორტსმენებმა უმოწყალოდ დაჩაგრეს ყველა მეტოქე. რუსები № 1 მსროლელები არიან მსოფლიოში“.

მინსკის სარგებელზე

ბელორუსიის დედაქალაქში მიმდინარეობს სტუდენტთა საკავშირო თამაშები. უკვე დამთავრდა ასპარეზობა 3 სახეობაში. საქართველოს სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მივყავთ რიგით.

ძალოსნობა

ჩვენმა შტანგისტებმა შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინეს და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში 17 ჩასათვლელი ქულა შესძინეს საქართველოს სპორტულ დელეგაციას.

აი, მათი შედეგები:

მჩატე წონა — ა. პაპისმედოვი — VII ადგილი (272,5 კგ), ქვემსუბუქი — დ. შანიძე — I (352,5 კგ). მან თამაშების სამი რეკორდი დაამყარა: სამჭიდში, ატაცსა (107,5) და აკვრაში (140), რ. დათიკაშვილი — VI (302 კგ).

ქვესაშუალო წონა: ო. დემუროვი — VI ადგილი (380 კგ), ქვემძიმე — დ. მუშკუდიანი — V (422,5), მძიმე წონა — დ. შავოშვილი — VI (410 კგ), ზემძიმე — ვ. კაზანჯიანი — IV (420 კგ), ხვედელიძე — V (410 კგ).

თავისუფალი ჭიდაობა

ჩვენმა სპორტსმენებმა I ადგილი დაიკავეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (მწვრთნელები: ვ. ბალავაძე, ვ. ილურიძე, გ. როსტიაშვილი). პირად პირველობაზე ქართველმა მოჭიდავეებმა ასეთი შედეგები მოიპოვეს:

მჩატე წონა — ტ. ალიბეგაშვილი — II ადგილი (1 ფრე, დანარჩენი მოგება), ქვემსუბუქი — ყვარელაშვილი — I, ს. ქარსაულიძე — II (ამ ორმა მოჭიდავემ მხოლოდ ერთმანეთთან შეხვედრა დაამთავრა ფრედ, ყველა დანარჩენი მოიგო), მსუბუქი — ზ. ბერიაშვილი — I (მან სუფთად მოიგო ყველა შეხვედრა), ქვესაშუალო — თ. ასლამაზიშვილი — I (1 ფრე, დანარჩენი მოგება), საშუალო — რ. მაჭავარიანი — IV, ქვემძიმე — შ. ლომიძე — II, მ. გზირიშვილი — IV.

ამრიგად, ჩვენმა მოჭიდავეებმა 3 ოქროს, 3 ვერცხლის და [illegible] IV ადგილი მოიპოვეს.

მაგიდის ჩოგბურთი

ამ სახეობაში გუნდური ადგილები გათამაშდა. III ადგილი 19 კოლექტივთან ბრძოლაში მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (4 ქულა).

გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ვაჟები — თ. რამაზაშვილი, ა. გიგაშვილი, გ. მელაძე, ქალები — რ. მკრტჩიანი, ბ. პერელმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაცია...

ფეხბურთის მინდორზე

მეცნიერები დღენიადაგ კვლევაში არიან, მაგრამ ჯერ მაინც ვერ მიუგნიათ, რა მოსავალი უფრო მოდის ფეხბურთის მინდვრებზე.

იყო შემთხვევები, რომ ზოგან სპორტულ მოედნებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესად იყენებდნენ. მაგრამ ასეთი ვაითაოსნები დაუზოგავი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და თითქოს ყველაფერი მოგვარდა. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ისევ გამოჩნდნენ „ნოვატორები“ თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში. მათი დევიზია: — აკაცია ფეხბურთის მინდვრებზე!

ალისუბნელთა ახალი წამოწყების წარმატებით დაგვირგვინების ამბავი რედაქციამ ამ სოფლის ახალგაზრდობის ბარათით შეიტყო. ახლა, როცა მთელ რესპუბლიკაში გაისმის მოწოდება — „ყოველ სოფელს — სპორტული ბაზა!“, ჩვენ მათი „მოღვაწეობა“ საგანგაშოდ მივიჩნიეთ.

არის ხოლმე, ფაქტი ჯიუტია, მაგრამ დამნაშავე კიდევ უფრო ჯიუტი და დიდი ჯაფა დაგადგება, სანამ მას ავ საქმეში დაარწმუნებ.

— რას ამბობთ, სად იყო მოედანი, უბრალო მინდორი გადავხანთო. — ცა და დედამიწა დაამოწმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ვარდოსანიძემ. ჩვენ კი საქმეს უფრო ღრმად ჩავსდიეთ და ახლა გვინდა ისევ მკითხველმა განიკითხოს მტყუანი და მართალი.

კითხვაზე, იცოდა თუ არა კოლმეურნეობის გამგეობამ, რომ ფეხბურთის მინდორი უნდა გადახნულიყო, თავმჯდომარემ გვითხრა, იცოდაო, მაგრამ ისიც დასძინა, სადაც ახალგაზრდები ბურთს გააგორებენ, ყველგან სპორტული მოედანი ხომ არ არისო (?).

იქნებ დაგვიზუსტოთ, მაინც სად არის? როგორც გავარკვიეთ, რაიონის ტერიტორიაზე აღრიცხულ სპორტულ ბაზებს შორის ალისუბნის ფეხბურთის მინდორიც მოიხსენიება. და ეს ცნობა არა თუ რაიონის, არამედ რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებშიცაა წარდგენილი. რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ა. ჩარქენიშვილმა განაცხადა, ზემოხსენებული სარბიელი 1953 წლიდან არსებობს და იქ სისტემატურად ტარდებოდა ადგილობრივი და საერაიონო პირველობებიო. ისიც კი გვითხრა, რამდენჯერმე მსაჯადაც ვყოფილვარო. მისი ნათქვამი ადგილობრივმა მცხოვრებმა, სპორტის მოყვარულმა კ. ქველიძემაც დაადასტურა. ახლა თავმჯდომარეს მოვუსმინოთ:

— ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ ყამირი მიწების ათვისებისა და აკაციის გაშენების გეგმა უნდა შეგვესრულებინაო.

— ალისუბანში მართლაც ბევრია ყამირი. აკაციები განა სხვაგან არ გაიხარებდა?

— წინა წლებში იქ ვაშენებდით და წლეულს ძველ ნარგავებს ბარემ ახალიც მივუმატეთ.

— ჩვენ ერთად ვნახეთ, რა ტანჯვით თამაშობდნენ ახალგაზრდები ფეხბურთს ძველი სკოლის მახლობლად, პატარა, უსწორმასწორო მოედანზე. თქვენ მაშინვე მიგვატოვეთ, ალბათ, სინდისის ქეჯნამ შეგაწუხათ, ან მათი საყვედურებისა სგეგეშინდათ. ჩვენ კი ჭაბუკებმა გულის ტკივილი გაგვიზიარეს. მოიგონეს ის დღე, როცა ფეხბურთის მინდორს ტრაქტორი მიადგა და აბიბინებული ბალახი ბელტებად ააგორა. წინ გადაუდგნენ ფურმე, მაგრამ ვერას გახდნენ: ტრაქტორისტი ხუჯაძე არ შეეპუა. მე-თავმჯდომარის ნებართვა მაქვს, თქვენ ვინა გკითხავთო, უთქვამს. თქვენ კი, პატივცემულო თავმჯდომარე, არც გაგვიმხილეთ, ვინ მართავდა ტრაქტორს. ბოლოს ისიც განაცხადეთ, მინდორი იმიტომ გადავხანით, რომ ახალი სპორტული ბაზა უნდა აგვეგოო. კი მაგრამ, ჯერ ის აგვგოთ და მერე ეს დაგეტაცებათ. მშრომელი, მუყაითი ახალგაზრდები ცხოვრობენ ალისუბანში. თქვენ კი არასოდეს გიფიქრიათ, რომ ნაყოფიერი გარჯის შემდეგ მათ კარგი დასვენებაც უყვართ, არასოდის დახმარებიხართ, არ შეგიწყვიათ ხელი მათი გატაცებისთვის. განა მხოლოდ გუნგრილობაზე არ მეტყველებს ის, რომ კოლმეურნეობის გამგეობაში ვერავინ დაგვისახელა ფიზკულტურული ორგანიზაციის თავმჯდომარე და საბჭოს წევრები? მხოლოდ „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოში შევიტყვეთ, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ადგილობრივი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს გ. შუღლაძეს ავალია. სხვათა შორის, თუ საბჭოს წლიურ ანგარიშს დავუჯერებთ, ალისუბნის ფიზკულტურელთა საქმიანობა სანიმუშოა (ჩვენ კი მაინც ვერ დავადგინეთ, ვინ და სად ვარჯიშობს მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, ნადირობის, სროლის, ჭადრაკისა და შაშის სექციებში).

თავმჯდომარემ არაფერი გვიპასუხა.

სათქმელი და სასაყვედურო კარგა ხანს არ შემოგვაკლდებოდა, მაგრამ ვაი თუ მკითხველი დაღალოს ამ ჩვენმა კითხვა-პასუხმა. მხოლოდ ისღა უნდა დავსძინოთ: ამ საქმეში მარტო ალისუბნელთა თავმჯდომარე როდია დამნაშავე. სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაცია და ხელის შეწყობა ყველას ღვიძლი საქმეა. მასში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს კომკავშირმა და თავად სოფლის ახალგაზრდობამ. ამაზე უნდა ზრუნავდნენ სასოფლო საბჭო, სკოლის ხელმძღვანელობა და ფიზკულტურის მასწავლებლები.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).



დახედეთ ამ ფოტოსურათს, განა იგი სოფლის თავკაცთა გულშემატკივრობაზე არ მეტყველებს? ძნელია ირწმუნო, რომ ალისუბნის საშუალო სკოლის კალათბურთის ამ მოედანზე ვინმე ვარჯიშობს. იგი ველური ბალახითაა დაფარული. როდის გაიწმინდება მოედანი, ან ფარს როდის შეაზანზარებს კალათში ნატყორცნი ბურთი?

ფოტო ავტორისა.

ცხენოსნები ერთმანეთის შეხვედებიან ბერგლში

საბჭოთა ცხენოსნები ინტენსიურად და გეგმაზომიერად ემზადებიან მსოფლიოს პირველი ჩემპიონატისთვის სამჭიდში, რომელიც 7-10 სექტემბერს ჩატარდება ინგლისის ქალაქ ბერგლში. ცხენოსნობის ამ სახეობაში ჩვენი გუნდი ევროპის ორგზის ჩემპიონია. დღეისათვის ბევრი საზღვარგარეთელი სპეციალისტი და მიმომხილველი საბჭოთა სპორტსმენებს ფავორიტებად თვლიან. ამას არ მალავენ ჩვენი მეწვრთნელებიც.

— ჩვენი ამოცანაა: მინიმუმი — „ბრონზაო“, მაქსიმუმი—„ოქრო“,— ამბობს ცხენოსნობის საკავშირო ფედერაციის უფროსი მწვრთნელი გ. ანასტასიევი. მსოფლიო ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად მიმაჩნია ინგლისის, აშშ-ის, იტალიის, და აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები, სადაც უკანასკნელ წლებში ცხენოსნობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ; ამჟამად სპორტსმენები დიდ ყურადღებას უთმობენ საერთო-ფიზიკურ მომზადებას. მეცადინეობენ ცურვაში, მძლეოსნობაში, კროსში, ასრულებენ სხვადასხვა ტანვარჯიშულ ილეთებს. ამასთან ერთად რამდენიმე საათს ანდომებენ ცხენებთან მუშაობას.

მსოფლიო პირველობაზე დაიშვებიან გუნდები ოთხი მხედრის შემადგენლობით. ჩათვლაში შევა სამი სპორტსმენის საუკეთესო შედეგი. ცხენოსნობის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. კრიჟიეკიმ მითხრა, რომ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებს ბერგლში შეუძლიათ გამოიყვანონ თანაბარი ძალის მინიმუმ 2 გუნდი. მან დამისახელა 8 საბჭოთა უძლიერესი მხედარი, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ნაკრების შემადგენლობაში შესვლაზე.

ლ. ბაკლიშკინი. 33 წლის მოსკოველი სამხედრო მოსამსახურე. ნაკრების ყველაზე გამოცდილი სპორტსმენი. იგი მონაწილეობდა XVI და XVII ოლიმპიურ თამაშებში. გასული წლის ევროპის ჩემპიონატზე ბაკლიშკინმა პირად ჩათვლაში მოიპოვა ვერცხლის მედალი და ოქროს მედალი, როგორც გამარჯვებული გუნდის წევრმა. ბაკლიშკინი გამოცდილი მხედარი და დიდი ტაქტიკოსია. იგი თანაბრად ძლიერია სამჭიდის ყველა სახეობაში.

ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატი 18 წლის ვორონეჟელი სტუდენტი **ა. ევდოკიმოვია.** მას ჯერ წარმატება არ მოუპოვებია საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ საბჭოთა სპეციალისტების აღიარებით, ევდოკიმოვს დიდი მომავალი აქვს.

30 წლის მოსკოველი **გ. გაზიუმოვი** 6 წელია სსრ კავშირის ნაკრების წევრია. იგი მონაწილეობდა 1960 წლის რომის ოლიმპიადაში, ხოლო 2 წლის შემდეგ ინგლისში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე დაიკავა მეორე ადგილი. გაზიუმოვი განსაკუთრებით ძლიერია სამანეჟო სვლასა და წინაღობათა გადალახვაში. 35 წლის **ს. მუსალიმოვი** წელს ამთავრებს ფრუნზეს ფიზკულტურის ინსტიტუტს. საზღვარგარეთელი ჟურნალისტები მას „შავ ელვას“ უწოდებენ არაჩვეულებრივი სისწრაფისთვის. იგი ძალზე ელეგანტურ და თითქმის უშეცდომო ტექნიკას ფლობს. მუსალიმოვი რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების მონაწილეა. რომში მან V ადგილი დაიკავა და ძვირფასი ქულები შესძინა საერთო გუნდურ პირველობაში გამარჯვებულ საბჭოთა ნაკრებს. იგი რამდენჯერმე იყო სსრ კავშირის ჩემპიონი. მუსალიმოვის სამჭიდში საყვარელი სახეობა სამანეჟო სვლაა. 23 წლის როსტოველ **პ. დეევს** მომდინარე ზაფხულში ცხარე დღეები აქვს. იგი ემზადება პედაგოგიურ ინსტიტუტში შესასვლელად, ამასთანავე, ვარჯიშობს მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. დეევს არაერთხელ გაუმარჯვნია ჭაბუკთა და ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრებებში. იყო მოზრდილთა ტურნირების პრიზიორი, მონაწილეობდა ტოკიოს ოლიმპიადაში და ბევრ სხვა საერთაშორისო შეხვედრაში.

25 წლის კიეველი **ვ. სუვოროვი** უკრაინის მრავალგზის ჩემპიონია. შარშან იგი მონაწილეობდა მოსკოვში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე და გამოდიოდა გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში. როგორც წესი, სუვოროვი კარგად ფლობს სამანეჟო სვლას და ძალზე თავისუფლადაა დაუფლებული წინაღობათა გადალახვას. ნაკრების კანდიდატები არიან ავრეთვე მოსკოველი **ბ. კონკოვი** — XVII და XVIII ოლიმპიური თამაშების მონაწილე და მისი თანამოქალაქე **ე. კალოევი.** ასეთები არიან საბჭოთა ნაკრების კანდიდატები. მათგან ვინ მოხვდება ოთხეულში, გადაწყვეტს სსრ კავშირის პირველობა, რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში გაიმართება მოსკოვში.



ბ. ოლშევსკი.

მასალები
შეკრიბა და
მოგვაწოდა
ვ. სიდამონიძემ.

● ბათუმი. აღდგომის კვირაში სასიამოვნო დარები იყო. კვირაცხოვლობა დღეს აქაური ქართველობა შეიკრიბა კახბარის მინდორზედ და დაიწყეს ბურთობა. მაყურებლადაც ბევრნი იყვნენ მოსულნი და დიდადაც გაკვირდნენ და ისიამოვნეს ამ თამაშობის ცქერით იმათ, ვისაც პირველად ენახა ბურთის თამაშობა. მაგრამ სიამოვნება იაფად არ დაგვიჯდა და ვიდრე ხალხი ისიამოვნებდა, ბევრი ვაი-ვაველახი გამოიარეს მოთამაშეებმა. როცა პირველად გამოვარდა ბურთი, მოვიდა ბოქაული ყაზახებითა და ათხოვა ხალხს, მე მომეცით ბურთი, უფრო შუა ალაგას ავაგდებო. ბურთი მისცეს. იმან ბურთი ყაზახებს გადასცა და პოლიციაში წააყენეს: ბურთის თამაშობა არ შეიძლება, აკრძალულიაო. ხალხმა სხვა ბურთი იყიდა და ახლა ის ააგდო. მოვიდა მასუკან პოლიციის უფროსი და დაუშალა ხალხს ბურთაობა. თან მოიყვანა მანქანა ცეცხლმქრობის მოწყობილობით და უბრძანა, გაწუწეთ ხალხი და დაიშლებაო. ხალხს ხუმრობა უგონა გაწუწვა თავისი და ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ ცეცხლისმქრობელთ, რომ წაერთმიათ მანქანები და ახლა ისინი გაეწუწათ... ბოლოს ამ ვაი-ვაგლახმა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწემდეც მიაღწია. თანაშემწემ თ. ერისთავმა უბრძანა პოლიციის უფროსს, რომ ხალხს ჩვეულებად აქვს ბურთის თამაშობა. და ნუ დაუშლითო. მართლაც, დაიწყო თამაშობა და ბოლომდე ისე გათავდა, რომ არავითარი უწესობა და ურიგობა არა მომხდარა რა. ასეთივე ბურთაობა ტფილისშიაც გვინახავს კვირაცხოვლობასაც და სხვა დროსაც მუშტაიდს იქით, მაგრამ იქაც დაშლით არავის დაუშლია და თუ არა ვცდები, არც უწესობა რამ მომხდარა.

(„ივერია“, 1890 წ. № 70).

● ამ თვის შვიდს დანიშნული იყო ჭიდაობა „იტალიის ბაღში“ კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუასი. ჭიდაობაზე მრავალი ხალხი დაესწრო. ასე რომ ბილეთის შოვნაც გაჭირდა. ჭიდაობა დაიწყეს ჯერ პატარა მოჭიდავეებმა და მერე გამოვიდნენ კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა. მოჭიდავენი ტიტვლები იყვნენ წელს ზევით. გამოვიდნენ თუ არა, ცოტახანს შემდეგ ესებუამ გლდანელი მოიგდო ქვეშ, პირქვე წააქცია და ზურგზე შეაჯდა. ესებუა ცდილობდა პირაღმა გადაებრუნებინა გლდანელი, მაგრამ, ჩვეულებრივ, გლდანელს მალე გამოუწნდნენ ქომაგნი, რომელთაც გააშველეს მოჭიდავენი. თითქმის დამსწრენი ესებუასს სთვლიდნენ გამარჯვებულად. აქედან იმერლებმა ესებუა მოიტაცეს და წაიყვანეს „ვაზას ბაღში“ საქეიფოდ. იმავე დღეს, საათის თერთმეტზე, ღამით, ესებუა ეტლითა და ზურნით დასვირნობდა თავის ძმა-ბიჭებითურთ ქალაქის ქუჩებში, როგორც გამარჯვებული გმირი.

(„ივერია“, 1888 წ. № 181).

● 22 ამ თვისას (სექტემბერი) ნ. ესებუამ ჭიდაობა გამართა ქალაქს ბათუმში და ერთი მეათედი ნაწილი წმინდა შემოსავლისა შესწირა მოუსავლობით დამარცხებულს ხალხს რუსეთის შიდა გუბერნიებისას. — სულ 25 მან.

29-ს ამავე თვისას ბათუმშივე გამართავს ჭიდაობას ნ. ესებუა და მეათედი ნაწილი შემოსავლისა გადაიდება ბათუმის ერთ-ერთი სასწავლებლისათვის. ბ-ნი ესებუა ამ ერთს თვის განმავლობაშივე გამართავს ჭიდაობას და იმ ჭიდაობის შემოსავლის ნახევარი შეუძლებელს ქართველს სტუდენტებს მიეცემათ. მუდმივ საჭიდაოდ ბ-ნს ესებუას ბათუმში, საბურთაო მინდორზე, ალაგი შემოუფარგლავს და მოუწყვია.

(„ივერია“, 1891 წ. № 206).

VIII მსოფლიო პირველობა

ENGLAND 1966 ფესტივალი VIII ოლიმპიადა



ის, რაც ნახევარფინალამდე მოხდა

პირველად...

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერც ერთი ნახევარფინალისტი ვერ გაცდა ამჟამად მიმდინარე გათამაშების მეოთხედფინალს.

სსრ კავშირი, ინგლისი და პორტუგალია, საერთოდ, პირველად გავიდნენ ეიულ რიმეს თასის გათამაშების ნახევარფინალში.

მაყურებელთა რეკორდი

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩებს დაესწრო 180.358 მაყურებელი, ჩილიში კი ამავე მატჩებს უყურა მხოლოდ 110 ათასმა კაცმა.

სულ ინგლისის სტადიონებზე ნახევარფინალებამდე იყო 1 მილიონ 159.770 გულშემატკივარი. ეს მსოფლიო რეკორდია ყველა მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში.

პირველი სნაიპერი და სხვანი

მეოთხედფინალური მატჩების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას მეთაურობდა ეუსებიო, რომლის ანგარიშზე ირიცხებოდა 7 გატანილი ბურთი. II ადგილზე იყო უნგრელი ბენე — 4 ბურთი, შემდგომი ადგილები კი ასე ნაწილდებოდა: პარაგუიანი (სსრ კავშირი), არტიმე (არგენტინა), ჰანტი (ინგლისი), აუგუსტო (პორტუგალია), ბეკენბაუერი და ჰალერი (ორივენი — გფრ) — 3-3 გოლი თვითეულს.

უველაზე აგრესიული

ჩემპიონატის ყველაზე აგრესიულ გუნდს მეოთხედფინალების შემდეგ წარმოადგენდა პორტუგალია, რომელმაც 14 ბურთი გაიტანა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ გფრ — 11, უნგრეთი — 8, სსრ კავშირი — 7, ინგლისი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — 5-5 გოლი.

სსრ კავშირს, არგენტინისა და იტალიის გუნდებმა მიიღეს მხოლოდ 2-2 ბურთი, გერმანელებმა — 1. ყველაზე უკეთესი დაცვა ჰყავდა ინგლისის ნაკრებს, რომელსაც არ მიუღია არც ერთი ბურთი. ყველაზე მეტი ბურთი გამოიტანეს ბადიდან შვეიცარიისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების მეკარეებმა — 9-9.

„ჰელე ღმერთი არაა“

პარიზი, 22 ივლისი (საკუთარი). გაზეთი „ორორი“ კომენტარს უკეთებს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების დამარცხებას მსოფლიო ჩემპიონატში და წერს:

„მითი, რომელიც შექმნილი იყო სუპერმენის გარშემო, გაიფანტა. შვეიცის ჩემპიონატის დროს, 1958 წელს, პელე სულ 17 წლისა იყო. ეს გახლდათ მისი დიდების დასაწყისი, მაგრამ პელეს გარშემო თამაშობდნენ ზიტო, დიდი, ზაგალო, ვავა, გარინჩა, ერთი სიტყვით, ექსტრა-კლასის მოთამაშეთა მთელი „ტყე“. ყველა სხვასთან შედარებით, პელე ბრწყინვალედ ასრულებდა ერთი კაცის სამუშაოს, მაგრამ მხოლოდ ერთისას.

დღეს გუნდში აღარ არიან დიდი, ზიტო, ვავა, ზაგალო, გარინჩა კი უკვე მხოლოდ საკუთარი თავის ლანდს წარმოადგენს. ბრაზილიელებმა ვერ აღადგინეს „ტყე“. მისგან დარჩა მხოლოდ ერთი ხე და იგი მოსხეპილ იქნა. ასეთია სპორტის კანონი. „ღმერთი“ მხოლოდ-დამხოლოდ ადამიანი გამოდგა, რომელსაც შეუძლია იტანჯოს მუხლში მიღებული ტრავმისგან, გაუშვას გადაცემა, ვერ მიიღოს ბურთი, ე. ი. ადამიანი, რომელიც ვერ შეცვლის მთელ გუნდს.

ასე დარჩა ბრაზილიის გუნდიდან მხოლოდ ჩრდილი, ხოლო პელე კი ჩვეულებრივ ადამიანად იქცა“.

მეოთხედფინალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1.

სურათზე: ი. ჩისლენკოს გააქვს პირველი ბურთი უნგრელთა კარში.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკადესი).

დებულების შესაბამისად

სსრ კავშირის 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში გათვალისწინებული იყო, რომ „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებმა უნდა ჩაატარონ თითო მატჩი იმ დიდ ქალაქებში, რომლებსაც არა ჰყავთ წარმომადგენლები უმაღლეს ლიგაში.

ეს მატჩები გადაწყდა ჩატარდეს იმ სტადიონებზე. რომლებიც იტევენ 10 ათას მაყურებელს „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდების შეხვედრათა განრიგი დიდი სამრეწველო ქალაქების სტადიონებზე გამოიყურება ასე:

15 აგვისტო, სარატოვი. ასკ (ოდესა) — „კრ. სოვეტოვი“.
30 აგვისტო, ვოლუსკი. ასკ (როსტოვი) — „ნეფტიანიკი“.
13 სექტემბერი, ულიანოვსკი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“.
13 სექტემბერი. დუშანბე. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი“.
18 სექტემბერი, უფა. „კრ. სოვეტოვი“ — „კაირატი“.
22 სექტემბერი, ომსკი. „კაირატი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).
22 სექტემბერი, კიროვაბადი. „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“.
26 სექტემბერი, კრივოი როგი. „შახტიორი“ — „ლოკომოტივი“.
30 სექტემბერი, პიატიგორსკი. „ნეფტიანიკი“ — „კაირატი“.
9 ოქტომბერი, ნალჩიკი. „არარატი“ — „ზენიტი“.
15 ოქტომბერი, ძერჟინსკი. „დინამო“ (მინსკი) — „არარატი“.
18 ოქტომბერი, ბარნაული. „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“.
26 ოქტომბერი, ნიკოლაევი. „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“.
4 ნოემბერი, დნეპროპეტროვსკი. „დინამო“ (კიევი) — „ნეფტიანიკი“.
4 ნოემბერი, სტავროპოლი. „ზენიტი“ — „შახტიორი“.
13 ნოემბერი, ფერგანა. „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (ოდესა).
17 ნოემბერი, ფრუნზე. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ასკ (ოდესა).
21 ნოემბერი, გროზნო. ცსკა — „დინამო“ (მინსკი).

ამ გუნდების დუბლშემადგენლობანი თამაშობენ იმავე ქალაქებში ძირითად შემადგენლობათა წინდღით.

„ა“ კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	17	12	5	0	37—5	29
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	17	9	6	2	25—13	24
„კასტალორი“ (ტაშკენტი)	17	7	10	0	19—11	24
ცსკა	17	8	6	3	36—24	22
ასკ (როსტოვი)	17	10	1	6	28—27	21
„ტორპედო“ (მოსკოვი)	17	7	6	4	28—19	20
„დინამო“ (მოსკოვი)	17	7	4	6	24—18	18
„კაირატი“ (ალმა-ათა)	17	8	2	7	19—20	18
„ნეფტიანიკი“ (ბაკო)	17	6	5	6	23—15	17
„დინამო“ (თბილისი)	17	6	5	6	17—15	17
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	17	7	3	7	23—27	17
„შახტიორი“ (დონეცკი)	17	6	3	8	16—21	15
„დინამო“ (მინსკი)	17	4	7	6	15—21	15
„ტორპედო“ (ქუთაისი)	18	6	3	9	24—32	15
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	17	4	6	7	18—22	14
„არარატი“ (ერევანი)	17	5	4	8	15—26	14
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	17	2	6	9	12—28	10
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	17	3	1	13	13—29	7
ასკ (ოდესა)	17	1	5	11	9—28	7

„ა“ კლასი II ჯგუფი

2:0 — როსტოვსა და ყაზანში

24 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის.

როსტოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „როსტსელმაში“ და თბილისის „ლოკომოტივი“. მატჩი დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 2:0.

ბათუმის „დინამო“ ყაზანში შეხვდა „რუბინს“. მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 2:0.

* * *

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (ტალინი)—„თერგი“ (გროზნო) 0:1, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:1, „ფალგირისი“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:1, „სპარტაკი“ (გომელი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0.

მოზარდთა ტურნირი

კოპეისკი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ვიტყობინებოდით, დაიწყო ნახევარფინალის გადამწყვეტი მატჩები „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებულ მოსამზადებელ გუნდებს შორის.

თბილისის „ლოკომოტივს“ შეხვედრა ჰქონდა კიროვოგრადის „ზვეზდასთან“. დაძაბული მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. ასევე ფრე იქნა ფიქსირებული მაგნიტოგორსკის „მეტალურგისა“ და ცსკა-ს შეხვედრაში — 1:1. ახლა გათამაშების მონაწილე ყველა 4 გუნდს 2-2 ქულა აქვს.

ღღეს თბილისის „ლოკომოტივს“ ძალზე ძნელი მატჩი აქვს მოსკოვის არმიელთა გუნდთან.

თ. ჟოგულაძე.

პროფსაბჭოს თასზე

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს ეძღვნება საქართველოს პროფსაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელიც დაიწყება 31 ივლისს და გასტანს 18 სექტემბრამდე.

გათამაშებაში მონაწილეობის უფლება აქვს პროფსაბჭოს სისტემაში შემავალ ყველა კოლექტივს, მიუხედავად სპორტული კვალიფიკაციისა. სპორტსმენს გუნდში მონაწილეობის უფლება აქვს, თუ იგი არანაკლებ 6 თვე მუშაობს მოცემულ დაწესებულებაში. პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს შეუძლიათ შეჯიბრებაში გამოიყვანონ როგორც ნაერთი ნაკრები, ისე დაწესებულებათა, მშენებლობათა, უმაღლეს და საშუალო სასწავლო დაწესებულებათა ცალკეული გუნდები. არ დაიშვება „ა“ და „ბ“ კლასების გუნდების მოთამაშეთა მონაწილეობა, რომლებიც მიმდინარე სეზონში გამოდიოდნენ ოსტატთა კოლექტივებში. თასის გათამაშება იწარმოებს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

შეჯიბრების სისტემა ოლიმპიურია, ე. ი. წაგებული გუნდი შემდგომ თამაშებში აღარ მონაწილეობს. თუ თამაში დამთავრდა ფრედ (დამატებითი დროის ჩათვლით). გამარჯვებულის გამოსავლენად ინიშნება 11-11 პენალტი, რომელსაც ასრულებს თვითეული გუნდის ყველა წევრი მეკარის ჩათვლით. თუ მოხდა ისე, რომ ფეხბურთელი გუნდიდან გააძევეს, მის ნაცვლად 11-მეტრიანს ასრულებს სათადარიგო მოთამაშე.

მატჩის მსვლელობისას ნებადართულია 1 მეკარისა და მინდვრის 3 მოთამაშის შეცვლა.

ოლიმპიელები იმარჯვებენ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ჩაატარა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი იაპონიის ნაკრებ გუნდთან. თამაში შედგა ქ. ლუგანსკში.

შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1. გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ურუშაძე (კუდასოვი), ჭელიძე, ანტონევიჩი, ანიჩკინი, სავოსტიკოვი, მასლოვი, ილიადი (ლენიოვი), ადამოვი, ფედოტოვი, ევრიუჟიხინი, ვარგა (პილიპჩუკი).

ბათუმში დამთავრდა საქართველოს ჩოგბურთელთა პირადი პირველობა, რომელშიც სხვებთან ერთად ა. მეტრეველიც გამოდიოდა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ბათუმელებმა კვლავ იხილეს მეტრეველის თამაში, — ამჯერად ფეხბურთის მინდორზე, სადაც საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები შეხვდა ბათუმელ ფეხბურთის მოყვარულთ. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 5:1.

სამი გოლის ავტორია ა. მეტრეველი, თითო ბურთი გაიტანეს პერეგუდოვმა და ლუკაშვილმა.

* * *

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

„მცირე ოლიმპიადა“ მექსიკოში

მექსიკის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის 12-24 ოქტომბერს მექსიკოში მოაწყოს „მცირე ოლიმპიადა“. ამ წინასაოლიმპიადო რეპეტიციაში მონაწილეობას მიიღებს 14 ქვეყნის 412 სპორტსმენი. მექსიკის დედაქალაქში ყველაზე ხალმხრავალ დელეგაციას აგზავნის სსრ კავშირი (100 სპორტსმენს). იაპონია წარმოდგენილი იქნება — 79, საფრანგეთი — 72, იტალია — 70, გდრ — 32, გფრ — 25, ჩეხოსლოვაკია — 16, უნგრეთი — 12, შვეიცია — 10 და ა. შ. სპორტსმენით.

„მცირე ოლიმპიადის“ მიზანია: ჯერ ერთი, შეამოწმოს მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შესაძლებლობანი მაღალმთიან პირობებში და შემდეგ, მინიატურული სახით გაიმეოროს 1968 წლის პრემიერა.

პირველი საკითხის შესწავლის მიზნით მექსიკოს ეწვევა მეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეამოწმებს სიმაღლით გამოწვეულ ცვლილებებს სპორტსმენთა ორგანიზმში. ზუსტი მეცნიერული ცდების ჩასატარებლად მექსიკამ იაპონიიდან, დასავლეთ გერმანიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოიწერა სხვადასხვა სახის უახლესი აპარატურა.

„მცირე ოლიმპიადა“, რომელიც 1968 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამით ჩატარდება, ამავე დროს გამოცდის არსებულ ბაზებს და საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე ახლის აშენების აუცილებლობას დააყენებს. „მცირე ოლიმპიადის“ მსვლელობის დროს დიდი ყურადღება დაეთმობა პრესის მუშაობისთვის შექმნილი პირობების შემოწმებას. მექსიკის ოლიმპიურ კომიტეტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ XIX ოლიმპიადის ორგანიზაცია არ ჩამორჩეს თავის წინამორბედს.

ამ მიზნით, ძეხსიკელები იწვევენ იაპონელ სპეციალისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ოლიმპიურ სამზადისს მექსიკოში. საორგანიზაციო კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ, სახელგანთქმულმა არქიტექტორმა პედრო რამირეს ბასკესმა, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა მექსიკის ყოფილი პრეზიდენტი ადოლფო ლოპეს მათეოსი (იგი გადადგა ავადმყოფობის გამო), მოიწვია ოლიმპიადის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ოფიციალური პირი და განაცხადა: „ძნელია იმის თქმა, შეეძლებთ თუ არა გადავაჭარბოთ იაპონელებს, მაგრამ ამ ქვეყნის მდიდარი გამოცდილება ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ, მით უმეტეს, იაპონელი სპეციალისტები მზად არიან უანგარო დახმარება გაგვიწიონ“.

„მცირე ოლიმპიადის“ დღეებში მექსიკოს ეწვევა 20 იაპონელი სპეციალისტი, რომლებიც პედრო რამირეს ბასკესთან და მთავრობის წევრებთან ერთად განიხილავენ ოლიმპიური სამზადისის საკითხებს.



სტადიონი მექსიკის დედაქალაქში, სადაც 1968 წლის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს. ეს სპორტული ნაგებობა 80 ათასი მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. სტადიონის გვერდით მოეწყობა საგანგებო სადგომი, რომელიც 4 ათას მანქანას დაიტევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲯᲕᲘᲡᲘ

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 20 ქალაქის 550 ნიჩბოსანი მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ რეგატაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ეს იყო ჩვენი სპორტსმენების გენერალური რეპეტიცია მსოფლიო პირველობის წინ. ქალთა შორის ოთხმოსასმელიანი ნავებით შეჯიბრებაში (მესაჭით) გაიმარჯვა „სპარტაკის“ გუნდმა, ერთმოსასმელიანებში — გ. კონსტანტინოვამ (მოსკოვი), ოთხმოსასმელიანებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა ვ. ლენიუსის კვარტეტმა, ორმოსასმელიანებში — რიგელებმა დ. დიშმანემ და ლ. ზარინიამ, რვამოსასმელიანებში — მოსკოვის „ტრუდის“ სპორტსმენებმა. ვაჟთა შორის ოთხმოსასმელიანი ნავებით შეჯიბრებაში პირველი იყო მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი, ორმოსასმელიანებში (უმესაჭოდ) ლენინგრადელები ა. ფიოდოროვი და ი. სუსლინი. ლენინგრადის წარმომადგენლის გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე, ერთმოსასმელიანებით შეჯიბრება. იგი მოიგო ვ. კოპენკინმა. ორმოსასმელიანი ნავებით (მესაჭით) ასპარეზობაში გაიმარჯვეს მოსკოვის სპარტაკელებმა, ოთხმოსასმელიანებში — ვილნიუსის „ჟალგირისის“ წარმომადგენლებმა, ორმოსასმელიანებში (უმესაჭოდ) ყველას აჯობა მოსკოველების ო. ტიურინის და ბ. დუბროვსკის ნავმა. რვამოსასმელიანში — ვილნიუსის „ჟალგირისის“ გუნდმა.

● ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘ. გასულ კვირას აქ დამთავრდა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების საკვანძო ბირველობა, რომელშიც გამოდიოდნენ ალმა-ათის „დინამო“, ასტრახანისა და ვოლგოგრადის „სპარტაკი“, მოსკოვისა და მინსკის „ბურევესტნიკი“ და ტაშკენტის „მეხნატი“. უძლიერესი გუნდის სახელი დაისაკუთრა ვოლგოგრადის „სპარტაკმა“, რომელმაც მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო (ალმა-ათის „დინამოსთან“). გაისად ვოლგოგრადელი წყალბურთელები გამოვლენ „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდების ასპარეზობაში.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲝᲗᲐᲜ

იუგოსლავიის სპორტულმა გაზეთმა „სპორტმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ საბჭოთა დიდოსტატ ა. სუეტინთან, რომელიც ამჟამად ქალაქ ტიტოვო უჟიცას საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

ა. სუეტინმა ბევრ შეკითხვაზე გასცა პასუხი. მოგვყავს ზოგიერთი კითხვა-პასუხი.

● როგორც ვიცით, თქვენ იყავით ტ. პეტროსიანის შეხვრეთნელი მის მატჩებში მ. ბოტვინიკთან და ბ. სპასკისთან. რა მოგცათ მსოფლიო ჩემპიონთან ამ ურთიერთობამ?

— რა თქმა უნდა, ძალა შემმატა. ტ. პეტროსიანი ორიგინალურად აზროვნებს. საინტერესოა, რომ იგი პოტენციურად კომბინაციური სტილის მოუადრაკეა. ადვილად ხედავს კომბინაციას თავისსა და მეტოქის მხრიდან. იუგოსლავიაში მის სტილში თამაშობს ბ. პარმა. ჩვენ ერთად ვუკვეთებდით ანალიზს პარტიებს და ეს ძალიან სასარგებლო იყო. არ დაგიმალავთ, ბ. სპასკისთან მატჩმა ძალზე დამლალა.

● ᲗᲥᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲔᲢᲧᲕᲝᲗ, ᲕᲘᲜ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ Ტ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲡ ᲣᲪᲮᲝᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲓᲠᲐᲯᲣᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ?

— ᲯᲔᲠ ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲘᲣᲜᲘ, ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ, ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ, ᲒᲔᲚᲔᲠᲘ, ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ, ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲚᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲛᲝᲣᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲨᲘ — ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐᲨᲘ, ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲨᲘ, ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲛᲓᲐᲠᲨᲘ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲒᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ. ᲛᲔ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲗ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲛᲓᲐᲠᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ. ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐᲨᲘ, ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲨᲘ, ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲛᲓᲐᲠᲨᲘ. ᲛᲔ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲗ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲛᲓᲐᲠᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ.

● ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲝᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 10 ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲝ.

— ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ, ᲡᲐᲡᲙᲘ, ᲢᲐᲚᲘ, ᲤᲘᲨᲔᲠᲘ (ᲐᲜ ᲞᲘᲠᲝᲜᲘᲗ, ᲤᲘᲨᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲚᲘ), ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ, ᲙᲔᲠᲔᲡᲘ, ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ, ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ, ᲨᲢᲔᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲘᲕᲘᲙᲝᲕᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ



ამ ბოლო ხანს მოცურავეთა ბევრმა მწვრთნელმა მიმართა ახალ ხერხს: ვარჯიშის დროს ხელოვნურად უძნელებს სპორტსმენს წყალში მოძრაობას, რათა ამ უკანასკნელმა უფრო ლაღად, თავისუფლად და სწრაფად იცურაოს ასპარეზობისას. მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენების — ავსტრალიელი კონრადსების (ჯონ და ილზა) მწვრთნელი დონ ტელბოტი, მაგალითად, თავის აღსაზრდელებს აიძულებდა დინების საპირისპიროდ ეცურათ, ზურგზე ტვირთს ატარებდა, აღლვებულ ზღვაში ცურვას ურჩევდა.

ამავე კვალს ადგანან ახლა უნგრელი მწვრთნელები, რომელთაც ბოლო წლებში საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მათ ეკუთვნით ერთი თავისებური, მარტივი, მაგრამ სასარგებლო გამოგონება: მოცურავე სარტყელზე იმაგრებს რკინის ფირფიტებს, რაც ხელს უშლის მის მოძრაობას წყალში. ამ გამოგონების ეფექტურობა პირველსავე გამოცდაზე დადასტურდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲔᲚᲘ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა ავტომობილისტთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლეგენდარული „ლოტუსის“ (სარბოლო მანქანის სახელია) მძღოლმა ჯ. კლარკმა.

რბოლა ტრაგიკულად დამთავრდა. კლარკი ერთ-ერთ წრეზე დაეჯახა მეზობელ მანქანას, რომელიც „ლოტუსმა“ ვირაჟის კედელს მიანარცხა. „ლოტუსი“ უმნიშვნელოდ დაზიანდა, კლარკმა კი საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო მხრის არეში. დაზარალებული რეკორდსმენი უმალ სამხედრო ჰოსპიტალში წაიყვანეს.

კიდევ უფრო საბედისწერო გამოდგა მსოფლიოს მეორე რეკორდსმენის, ჰიდროგლისერის ცნობილი მძღოლის ჩ. ტომპსონის სტარტი დეტროიტში. ტომპსონმა დისტანციაზე ზღაპრული სისწრაფე განავითარა — 160 კმ საათში. მაგრამ რეკორდსმენის გლისერმა ვერ გაუძლო ასეთ მაღალ ტემპს და... აფეთქდა. ტომპსონი საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა.

52 წლის ჩაკ ტომპსონი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამერიკაში. მას ევროპაშიც კარგად იცნობდნენ. ბოლო წლებში მას არაერთი უმაღლესი ჯილდო ჰქონდა მოპოვებული აშშ-ში, კანადასა და ევროპაში. ტომპსონის ამ უკანასკნელ, ტრაგიკულ რბოლას დეტროიტში 300 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა.

Მ. ᲡᲐᲜᲢᲐᲜᲐᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

უიმბლდონის ტურნირის გმირი, ესპანელი მ. სანტანა დიდი პატივით მიიღეს მშობლიურ მადრიდში. სპეციალური სახელმწიფო დეკრეტით იგი ესპანეთის ერთ-ერთი უმაღლესი მედლით დაჯილდოვდა, სახელგანთქმულ სპორტსმენს ჯილდო გადასცა ფიზიკური კულტურის მინისტრმა ხ. სოლისმა. გაზეთების აღიარებით ასეთ დიდ პატივს არც ერთი ესპანელი სპორტსმენი არ მოსწრებია.

სანტანას წარმატების პატივსაცემად „რეალის“ კლუბმა, რომლის წევრადაც ითვლება იგი, გადაწყვიტა 31 ივლისს მადრიდში ჩაატაროს დიდი საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობის მისაღებად პერსონალურად არიან მიპატიჟებული: ავსტრალიელები რ. ემერსონი, გ. სტოლე, ო. დავიდსონი. შეჯიბრებაში გამოვა აგრეთვე უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი დ. რალსტონი (აშშ).

ᲓᲝᲚᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲔᲑᲜᲐᲨᲘ

მას შემდეგ, რაც პროფესიული კრივის სარბიელი დატოვა პოპულარულმა ზანგმა სპორტსმენმა სონი ლისტონმა და აბსოლუტური ჩემპიონის პოსტზე მეორე ზანგი კასიუს კლეი ავიდა, საგრძნობლად შემცირდა კრივის ბიზნესი. ამერიკელი სპეციალისტები ამას იმით ხსნიან, რომ ახალ ჩემპიონს არ ჰყავს ცოტად თუ ბევრად ღირსეული მეტოქე და მაყურებელმა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. მართლაც, დღეს მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება კლეის ბადალი მოკრივე.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხელს არ აძლევს არც აბსოლუტურ ჩემპიონს და არც პროფესიული კრივის მეცენატებს. საქმე ისაა, რომ სონი ლისტონის იძულებითი გადადგომის შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა კლეის შემოსავალიც და მეცენატთა კაპიტალიც.

ოჯახური დრამის შემდეგ ლისტონის მეუღლემ ექს-ჩემპიონს სასამართლოში უჩივლა. სასამართლომ დაადგინა: დაზარალებულს (ე. ი. ლისტონის მეუღლეს) ალიმენტის სახით დაუმტკიცდეს 25 ათასი დოლარი. ლისტონს, უბრალოდ რომ ვთქვათ, ამ თანხის გადახდის არავითარი საშუალება არ აქვს. ამიტომ იგი ცდილობს დაუბრუნდეს რინგს და მოაწყოს მატჩ-რევანში (უკვე მერამდენე) კასიუს კლეისთან. მაგრამ კრივის მესვეურები თვლიან, რომ ასეთი მატჩი შემოსავალს არ მოიტანს და ლისტონს უარით ისტუმრებენ.

კასიუს კლეი კი ამასობაში ახალ, ხელსაყრელ კონტრაქტებს ეძებს. და აი, მან ბოლოსდაბოლოს, ინგლისელი ბ. ლონდონის თანხმობა მიიღო. მატჩი გაიმართება 6 აგვისტოს დუბლინში. 10 სექტემბერს კი „აინტრახტის“ სტადიონის რინგზე იგი შეხვდება ევროპის ჩემპიონს გერმანელ კ. მილდენბერგერს. ამ ორი მატჩიდან კლეი, სულ მცირე, 250 ათას დოლარს ელის.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲕᲐᲠᲘ. „დინამოს“ სტადიონი. 28 ივლისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. 30 წ.